პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 8 იანვარი, 1943 წ. № 6 (6631). ფასი 20 კაპ.

შევასრულოთ გეგმები წითელი არმიის, ფრონტის დასახმარებლად

ფრონტზე და ზურგში ახალი გამარჯვებებით დაიწყო საბჭოთა ხალხმა ახალი წელი. ფრონტიდან სასიხარულო ცნობები მოდის. წითელმა არმიამ გადამწყვეტი და შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დაიკავა ნალჩიკი, პროხლადნი, მაისკოე, კოტლიარევსკაია, მოროზოვსკი, ციმლიანსკაია.

წითელი არმიის წარმატებითი შეტევა გრძელდება. ამ წარმატებითი შეტევის პასუხად ზურგში კიდევ უფრო ძლიერდება სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ფრონტის დასახმარებლად. უმაგალითოდ აზვირთდა საბჭოთა პატრიოტიზმი, რამაც მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ტამბოველ და სარატოველ კოლმეურნეთა ძვირფას ინიციატივაში. ამ მოძრაობამ მთელი ჩვენი საკოლმეურნეო სოფელი მოიცვა. საქართველოს კოლმეურნეებმა წითელი არმიისათვის სატანკო კოლონების ასაგებად რამდენიმე ათეულ მილიონზე მეტი მანეთი შეაგროვეს. მათ ამავე დროს პირადი გარდამეტიდან დაიწყეს პროდუქტების შეგროვება წითელი არმიისათვის და ქალაქის მშრომელთათვის. სახსრებისა და პროდუქტების შეგროვება პატრიოტული აღმავლობით გრძელდება.

1942 წელი მთელს ჩვენს სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში ახალ წარმატებათა წელი იყო. საბჭოთა საქართველოს საწარმოებმა ფრონტული მუშაობის შედეგად გასულ წელს 152 სხვადასხვა სახის სპეციალური პროდუქციის გამოშვება აითვისეს. ათვისებულია ფართო მოხმარების მთელი რიგი საგნების წარმოება. მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი მრეწველობის სათბობის ბაზა. გადიდდა პროდუქციის გამოშვება. გაიზარდა ომიანობის დროის სტახანოველთა — ორასოვანთა, სამასოვანთა, ხუთასოვანთა და ათასოვანთა რიგები. ფართოდ დაინერგა ქალთა შრომა. გატარდა მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადებანი და გამოგონებანი მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში. 5,8 პროცენტით გაიზარდა ყველა კულტურის სათესი ფართობი. ამავე დროს გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოსავლიანობა.

მაგრამ გასული წლის მიღწევებით დაკმაყოფილება, მათზე შეჩერება როდი კმარა. ფრონტის ინტერესები, გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა სრული განადგურების ამოცანები მოითხოვენ ახალ წელს ვიმუშაოთ მეტი ენერგიით, აქედანვე ავიღოთ მაღალი საწარმოო ტემპები, ბოლშევიკურად გავშალოთ ბრძოლა ახალი სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. 1941 წელთან შედარებით 1942 წელმა გიგანტური ნაბიჯი გადასდგა წინ. 1942 წელთან შედარებით 1943 წელში ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ **მზარდი აღმავლობა მთელს სახალხო მეურნეობაში,** ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მივცეთ მეტი საჭურველი, მეტი საომარი მასალა, მეტი ნედლეული მრეწველობისათვის, მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

საჭიროა ვიმუშაოთ **რიტმულად, გრაფიკის** ზუსტად დაცვით, განუხრელად შევასრულოთ საქ. კ. პ. (ბ) მე-18 კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ახალი ძალით უნდა გავაჩაღოთ **სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება.**

ახალი წელი წარმატებით დაიწყეს მთელმა რიგმა ფაბრიკა-ქარხნებმა, რომლებიც ფრონტის შეკვეთებს ვადაზე ადრე და გადაჭარბებით ასრულებენ. თბილისის მოლოტოვის სახელობის ქარხანამ 1943 წლის პირველი სამუშაო დღე გამარჯვებით აღნიშნა. ამ ქარხნის ყველა საამქრომ გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. ახალი წლის ღამეს № ქარხნის მოწინავე მუშებმა ერთ-ერთ საამქროში ცვლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მღარველმა დემიანენკომ სამი ნორმა შეასრულა, ელენე ჯულულოვამ კი 180 პროცენტით. თბილისის ლენინის სახელობის ქარხნის სტახანოველმა მუშებმა ს. თათუაშვილმა და მ. მურადოვმა იანვრის პირველ დღეებში შრომის ნაყოფიერება 40-50 პროცენტით გაზარდეს. ტყიბულის ქვანახშირის დასავლეთისა და სტალინის სახელობის შახტები თვალსაჩინო წარმატებებით შეხვდნენ ახალ წელს. ტყიბულელმა მაღაროელებმა უკვე დაიწყეს სოცშეჯიბრების გაშლა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXV წლისთავის აღსანიშნავად.

ახლახან ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა შეიარაღების სახალხო კომისარიატის მოლოტოვის სახელობის № 172 ქარხნის მუშაკთა კოლექტივის წერილი ამხანაგ **სტალინისადმი.** ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ქარხნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით აღჭურვა 40 პოლკი, საკავშირო შეჯიბრებაში ოთხჯერ ზედიზედ მოიპოვა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა, 1943 წლისათვის თავის საბრძოლო ამოცანად ისახავს მეტი საჭურველი მისცეს ფრონტს, ამ მიზნით მოწოდებით მიმართავს საბჭოთა კავშირის ყველა საწარმოს **ფართოდ გაშალონ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება გმირი წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად** და თავის მხრივ კისრულობს 23 თებერვლისათვის გეგმის გადამეტებით საჭურვლით შეაიარაღოს 10 პოლკი! ამ მხურვალე პატრიოტულ **ინიციატივას** საბჭოთა საქართველოს ყველა ფაბრიკა-ქარხანა, მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი **უნდა გამოეხმაუროს.** მრეწველობის ყველა დარგში გეგმების გადაჭარბებით შესრულება ფრონტისადმი მძლავრი დახმარებაა. ეს ხელს უწყობს წითელი არმიის შეტევას, აჩქარებს საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

ახალი სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის ბოლშევიკური ბრძოლა დაიწყო. მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში ახალი წელი **აქედანვე** უნდა აღინიშნოს მძლავრი საწარმოო აღმავლობით შემტევი წითელი არმიის დასახმარებლად.

დაე ახალ წელს საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად ახალი პატრიოტული საქმეებით ასახელონ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლო!

ბოლშევიკურად შევასრულოთ ახალი სამეურნეო გეგმები წითელი არმიის დასახმარებლად. **ლენინ-სტალინის** ძლევამოსილი დროშით გავწიოთ წინ 1943 წელს გადამწყვეტ გამარჯვებათა მოსაპოვებლად, საზიზღარ ჰიტლერელთა სრული მოსპობისათვის!

ვოლოგდის ოლქი, ნიკოლსკი

პარტიის რაიკომის მდივანს ამხ. ლეონიდოვს

გადაეცით ნიკოლსკის რაიონის კოლმეურნეებს ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა წითელ არმიაზე მათი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

ბუგულმა, პარტიის რაიკომი, ამხ. გატინს

გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ბუგულმის რაიონის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომელთაც შეაგროვეს სახსრები სატანკო კოლონა „თათრეთის კოლმეურნის" ასაგებად.

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ, გიგზავნით 50.000 მანეთს „სახალხო შურისმგებელ" თვითმფრინავებისა და ტანკების ასაგებად.

შეგროვება გრძელდება.

კურსკის ოლქის პარტიზანები

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ღრმადპატივცემულო იოსებ ბესარიონის-ძევ!

წითელი არმია, რომელსაც თქვენი გენია ხელმძღვანელობს, ძლევამოსილად ერეკება მტერს ჩვენი სამშობლოს წმიდა საზღვრებიდან. ყოველი პატრიოტი მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს გამარჯვების საერთო საქმეში. ეკლესია ლოცულობს ჩვენი იარაღის გამარჯვებაზე, ეს არის მორწმუნეთა სულიერი წვლილი. ვლოცულობ მეც, როგორც მწყემსმთავარი, მაგრამ სარწმუნოება უსაქმოდ მკვდარ არის. დაე ჩემი საქმიანი წვლილი იყოს ის შენატანი, რაც მე დღეს გავიღე თავდაცვის ფონდისათვის: სახელმწიფო ბანკში შევიტანე პირადად ჩემი კუთვნილი ძვირფასი პანაგია, რაც დაფასებულია 500.000 მანეთზე მეტად. ჰბაძავს რა ჩემს ინიციატივას, მართლმადიდებელი განახლებული ეკლესიის სამღვდელოებას შეაქვს პირადი ძვირფასეულობა, ხოლო მოსკოვის ეპარქიულმა სამმართველომ 70.000 მანეთი შეიტანა თვითმფრინავების სასყიდლად. ეს მხოლოდ დასაწყისია ეკლესიის საქმიანი წვლილისა სამშობლოსათვის, რომელიც იმარჯვებს.

ღრმადპატივცემულო ბელადო, ჰფარავდეს უფალი თქვენს სიცოცხლეს მრავალსა და ბრწყინვალე წელს, რათა მთელ მსოფლიოში მზისებრ აღმობრწყინდეს პრინციპები თავისუფლებისა, სიმართლისა და ძმური სიყვარულისა.

სსრ კავშირის მართლმადიდებელ განახლებულ ეკლესიათა პირველიერარქი ალექსანდრე ივანეს-ძე ვვედენსკი.

ულიანოვსკი, სსრ კავშირის მართლმადიდებელ განახლებულ ეკლესიათა პირველიერარქს ალექსანდრე ივანეს-ძე ვვედენსკის

გმადლობთ, ალექსანდრე ივანეს-ძევ, თქვენ და რუსული მართლმადიდებელი განახლებული ეკლესიის სამღვდელოებას წითელ არმიაზე ზრუნვისათვის. მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქისარის 1-ლი სახელმწიფო ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი მხარს უჭერენ მოსკოვის ავტოქარხნის წინადადებას და საავიაციო შენაერთ „მოსკოვის" მშენებლობისათვის პირადი დანაზოგიდან ნაღდ ფულად შეაქვთ 1.025.000 მანეთი, ამასთან განაგრძობენ სახსრების შემდგომ შეგროვებას.

დაე ჩვენმა მამაცმა სტალინურმა შევარდნებმა ანადგურონ გერმანელი ფაშისტი არამზადები. ჩვენი ქარხნის კოლექტივმა, რომელსაც ესმის თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, 132 პროცენტით შეასრულა 1942 წლის გეგმა. ჩვენ აღგზნებულნი ვართ ერთიანი სურვილით—რაც შეიძლება უფრო მეტი გავაკეთოთ ჩვენი მშობლიური წითელი არმიის დასახმარებლად მოსისხლე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვიწყებთ რა სოციალისტურ შეჯიბრებას წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად, სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, გამოვუშვათ იანვარსა და თებერვალში გეგმის გადამეტებით 10 პროცენტი პროდუქცია. წელს ჩვენ შარშანდელზე უკეთესად ვიმუშავებთ და კიდევ უფრო მეტ პროდუქციას დავამზადებთ.

მთელი სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, მრავალი წლის ჯანღონით სავსე სიცოცხლეს.

საქისარის 1-ლი სახელმწიფო ქარხნის კოლექტივის დავალებით:

ქარხნის დირექტორი **ლოსევი,**
პარტკომის მდივანი **შკლიუკოვი,**
ქარხკომის თავმჯდომარე **ელისეევი,**
საკ. ალკკ კომიტეტის მდივანი **ბელიაევი,**
სტახანოველები: **კუპრინი, იულინი, ერშოვა.**

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ! ჩვენ, ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელნი, შევიკრიბენით რა მიტინგზე გერმანელ ფაშისტთა ბანდებისაგან მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლებისადმი მიძღვნილ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღეს, მოგილოცავთ თქვენ ახალ წელს, დიად გამარჯვებათა წელს. თქვენი სახელი ჩვენი საბრძოლო ძახილი იყო ნოემბრის შავბნელ დღეებში, როცა მტერი კავკასიისაკენ მოისწრაფოდა, თქვენს სახელს ვფიცულობდით და პირობას ვიძლეოდით არ შემოგვეშვა მტერი სამხრეთისაკენ მიმავალ კლდეკარებში. ჩვენ გვესმოდა ბრძოლის ჩვენი უბნის მნიშვნელობა და დარწმუნებული ვიყავით, რომ არ შევარცხვენდით მამა-პაპათა დიდებას და მათი ღირსნი აღმოვჩნდებოდით. თქვენი სახელით აღფრთოვანებულნი, საგმირო საქმეებს სჩადიოდნენ ჩვენი ხალხის საუკეთესო ვაჟიშვილები და ქალიშვილები სამამულო ომის ყველა ფრონტზე. შორეულ ფრონტებზე მებრძოლნი იმედით შემოგვცქეროდნენ ჩვენ და სჯეროდათ, რომ ჩვენ არ შევარცხვენდით ხალხთა სახელს და არ შევირცხვენდით თავს საუკუნოდ. ჩვენი სახელოვანი შვილები, საბჭოთა კავშირის გმირები—მილძიხოვი, არსანოვი, ცოკოლაევი, ოსტაევი გვაფრთოვანებდნენ ყველას სასტიკი ბრძოლისათვის, ჩვენ, ვგრძნობდით, რომ მტერი, შემოიჭრა რა ჩრდილოეთ კავკასიის ფარგლებში, მთელ ძალებს ძაბავდა, რათა გავესრისეთ ჩვენ, რათა გადმოელახა მთები.

ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელნი, პარტიზანები და პარტიზანი ქალები, წითელ არმიასთან ხელიხელჩაკიდებულნი იცავდნენ მშობლიური მიწა-წყლის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. გმირული წითელი არმიის რიგებში ბრწყინავს ოთხი ოსის—ჩრდილოეთ კავკასიის გმირების და სამამულო ომის 300-ზე მეტი ორდენოსნის სახელი და დიდება. ოსები პატიოსნად დაადგნენ იმ გზას, რომ ბოლომდე, გამარჯვებამდე დაიცვან მშობლიური კავკასია. ჩვენ ვაცხადებთ—ჩვენთვის არ არსებობს სხვა ცხოვრება, გარდა იმ ცხოვრებისა, რომელიც ჩვენმა ხალხმა უფროსი ძმის, დიდი რუსი ხალხის დახმარებით ააშენა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. თქვენი სახელი ჩვენთვის მუდამ იყო ბრძოლისა და გამარჯვების დროშა, ამ სახელით ჩვენ მივაღწევთ საბოლოო გამარჯვებას ფაშისტ გერმანელ არამზადებზე.

იმ დღეებში, როცა შავი ღრუბლები ჩამოაწვა მშობლიურ ოსეთს, ჩვენ გაგვახსენდა ჩვენი სახალხო ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის სიტყვები — სჯობია თავისუფალ ხალხად მოკვდე, ვიდრე სისხლიანი ოფლით მონებად ემსახურო დესპოტსო. ასობით და ათასობით მუშები, გლეხები და ინტელიგენცია შევიდნენ სახალხო ლაშქრის რიგებში, გამანადგურებელ ბატალიონებში. ისინი წითელ არმიასთან ერთად იარაღით ხელში იცავდნენ წმიდა საბჭოთა მიწა-წყალს, ასობით და ათასობით მშრომელნი გავიდნენ თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობაზე, ხეობები მტრისთვის ხაფანგებად გადაიქცნენ, მთების კალთები—ბასტიონებად, ჩვენი დედაქალაქი, რომელიც ორჯონიკიძის სახელოვან სახელს ატარებს, გახდა მიუვალი სიმაგრე, რომელზეც ნაკუწ-ნაკუწად დაიმსხვრნენ ჰიტლერის არმიის ნაქები პოლკები და დივიზიები. დაახლოებით ორ თვეს თარეშობდნენ ჰიტლერელი კაციჭამიები ჩვენი რესპუბლიკის ალაგირის, კიროვის, ირონის, დიგორის, არდონის რაიონებში. ამ ხნის განმავლობაში მათ გაძარცვეს ჩვენი აყვავებული კოლმეურნეობანი და დაიტაცეს პატიოსანი შრომით შეძენილი დოვლათი, მათ დაანგრიეს ამ რაიონების თითქმის ყველა კულტურული დაწესებულება, მოსპეს კავშირგაბმულობის საშუალებანი, ნანგრევებად გადააქციეს საავადმყოფოები.

დღეს, პირველ დღეს ახალი წლისას, რომელიც ისტორიაში შედის წითელი არმიის შესანიშნავი საომარი წარმატებებით ფრონტის გადამწყვეტ უბნებზე, ჩვენ, ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელნი, გეფიცებით თქვენ, მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ისეთივე ენერგიით აღვადგენთ ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობას, როგორითაც ვიცავდით ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს; ჩვენ ავაშენებთ გადაბუგულ სოფლებს, დავხნავთ გაველანებულ მინდვრებს, მოვაშენებთ ახალ ჯოგებს ჩვენს მთის იალაღებზე და აღვადგენთ ფაბრიკებსა და ქარხნებს, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გვავიწყდებოდა და არ დავივიწყებთ, ამხანაგო სტალინ, რომ მტერი ჯერ კიდევ არ არის განადგურებული და რომ კიდევ მოგველის სისხლისმღვრელი ბრძოლები მისი საბოლოოდ მოსპობისათვის. სიტყვას გაძლევთ თქვენ, ჩვენო დიდო ბელადო, რომ შემდეგშიც არ დავიშურებთ არც ჩვენს ძალ-ღონეს, არც თვით სიცოცხლეს წყეულ მტერზე გამარჯვებისათვის. მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ მოახლოებულია ფაშისტ გერმანელ ოკუპანტთა სრული განადგურების დღე, ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული.

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებას! გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს სამამულო ომის ფრონტებზე წითელი არმიის გმირულ გამარჯვებათა ორგანიზატორს, ჩვენს ბრძენ მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს!**

წერილი მიღებულია ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის მშრომელთა 30-ათასიან მიტინგზე მოძმე რესპუბლიკების, პარტიზანული რაზმების, ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად ქ. ორჯონიკიძე-კავკავში 1943 წლის 1 იანვარს.

ახალი განმასხვავებელი ნიშნები

ამ დღეებში თავდაცვის სახალხო კომისარიატმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე აღძრა შუამდგომლობა წითელი არმიის პირადი შემადგენლობისათვის, არსებულის ნაცვლად ახალი განმასხვავებელი ნიშნების — სამხრეების შემოღების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა თავდაცვის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა, დაადგინა შემოღებულ იქნას ახალი განმასხვავებელი ნიშნები და დაამტკიცა სამხრეების ნიმუშები და აღწერილობა.

დღეს გამოქვეყნებული ბრძანებულება წარმოადგენს მთავრობისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის იმ საერთო ღონისძიებათა ჯაჭვის რგოლს, რომლებიც მიმართულია წითელ არმიაში დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისაკენ, ერთმმართველობის განმტკიცებისაკენ, ჩვენი შეიარაღებული ძალების მეთაურთა შემადგენლობის როლისა და ავტორიტეტის ამაღლებისაკენ.

ამ მნიშვნელოვან საქმეს ემსახურებოდა ახალ სამეთაურო წოდებათა შემოღება, სრული ერთმმართველობის დაწესება და სამხედრო კომისართა ინსტიტუტის გაუქმება, მეთაურთა წოდების მინიჭება კომისრებისა და პოლიტმუშაკებისათვის, სამედიცინო, სივეტერინარო და საინტენდანტო სამსახურის მეთაურებისათვის.

ამ ღონისძიებათა გატარებას დიდი კმაყოფილებით და მათი მნიშვნელობის სრული გაგებით შეხვდა წითელი არმიის ყველა ნაწილი.

ჩვენი პარტია მუდამ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სამხედრო წესრიგისა და სამხედრო დისციპლინის განმტკიცებას წითელი არმიის რიგებში. ჯერ კიდევ 1919 წელს ლენინი ყოველი შეგნებული საბჭოთა ადამიანისაგან მოითხოვდა „არა შიშის გამო, არამედ სინდისისამებრ შეასრულონ ყველა კანონი წითელი არმიის შესახებ, ყველა ბრძანება, ყოველნაირად დაიცვან მასში დისციპლინა, დაეხმარონ წითელ არმიას ყველაფრით, რითაც კი თითოეულს შეუძლია დაეხმაროს".

ახალ განმასხვავებელ ნიშანთა შემოღება ხელს შეუწყობს საბჭოთა სამხედრო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო ავამაღლოთ ავტორიტეტი და კიდევ უფრო განვამტკიცოთ სრულუფლებიანობა მეთაურისა, რომლის სიტყვა, რომლის ბრძანება რკინისებური კანონია მისდამი რწმუნებული ნაწილისათვის.

წითელ არმიაში ჯერ კიდევ მისი არსებობის პირველ პერიოდში შემოღებული იყო განმასხვავებელი ნიშნები —სახელოზე და ღილკილოებზე. ახალი განმასხვავებელი ნიშნების შემოღება გამოხატავს წითელი არმიის ზრდის პროცესს, მის მეთაურთა კადრების ზრდასა და სრულყოფას. განმასხვავებელი ნიშნები — სამხრეები ემსახურება სამხედრო წოდების განსაზღვრას და ჯარის ამა თუ იმ გვარეობისადმი (სამსახურისადმი) სამხედრო მოსამსახურის კუთვნილებას. სამხედრო მოსამსახურეთა განმასხვავებელი ნიშნები სამხედრო ღირსების ემბლემას წარმოადგენენ წითელი არმიის მებრძოლებისა და მეთაურებისათვის.

წითელი არმიისა და ფლოტის მეთაურები არიან ხალხის შვილები, რომლებიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ერთგული არიან მშრომელთა საქმისა. ესენი არიან ჩვენი სამხედრო ინტელიგენცია, ხალხის მასების წიაღიდან გამოსული კადრები. ამ მეთაურთა სახით წითელარმიელების წინაშე გამოდიან სრულუფლებიანნი, სამშობლოს ნდობით მოსილნი ჩვენი სახელმწიფოს წარმომადგენელნი, რომელთა უნარიანი ხელმძღვანელობა სწყვეტს გამარჯვების ბედს ბრძოლის ველზე.

„წითელი ოფიცრები შეადგენენ ჩვენი არმიის ძირითად დუღაბს, რომელიც ერთიან დისციპლინებულ ორგანიზმად ანმტკიცებს მას" (სტალინი).

წითელი არმიის მეთაური ჯარების სრულუფლებიანი ხელმძღვანელია, რომელიც უნარიანად ახორციელებს უმაღლესი სარდლობის ბრძანებებს, რაც მიმართულია მტრის განადგურებისაკენ, მისი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მოსპობისაკენ, თავისი ნაწილების უმცირესი დანაკლისით და მტრისათვის უდიდესი ზარალის მიყენებით. წითელი არმიის მეთაური თვითონაც საბრძოლო მამაცობის, ვაჟკაცობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის მაგალითს წარმოადგენს ყველა ხელქვეითისათვის.

სამამულო ომის დღეები გვაძლევენ უნარიანი, ნებისყოფიანი და მომთხოვნი მეთაურების — გამარჯვების ორგანიზატორების აურაცხელ მაგალითებს.

ველიკიე ლუკის იერიშის დროს საარტილერიო დივიზიონის მეთაურმა კაპიტანმა კრაშენიკოვმა თავისი ქვემეხები ქუჩაში გამოაგორა და პირდაპირი დამიზნებით სპობდა გერმანელთა ძელმიწურებსა და საცეცხლე წერტებს.

მოზდოკისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში სატანკო ქვეგანაყოფის მეთაური ამხ. პროხოროვი, უნარიანად იყენებდა რა ვითარებასა და ადგილმდებარეობის პირობებს, თავისი მანქანებით მტრის ზურგში შეიჭრა და უდიდესი ზარალი მიაყენა მას.

ეს მაგალითები შეიძლება დაუსრულებლად გავამრავლოთ. ისინი მოწმობენ იმას, რომ ომის მსვლელობაში წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობა გაიზარდა და გამოიწრთო, ისწავლა მტრის ტაქტიკის გამოცნობა და ეხერხება დაუპირისპიროს მას თავისი ტაქტიკა, თავისი ინიციატივა თავს მოახვიოს მტერს და მოიგოს ბრძოლა. ასეთი მეთაურების ქვეგანაყოფებში გამეფებულია ნამდვილი საბჭოთა სამხედრო დისციპლინა და სანიმუშო სამხედრო წესრიგი — წარმატებითი საბრძოლო მოქმედების საწინდარი.

ახალი განმასხვავებელი ნიშნების შემოღება კიდევ უფრო აამაღლებს მეთაურის მაორგანიზებელ როლს და ამავე დროს თვით მეთაურებს აიძულებს უფრო მომთხოვნელად მოეპყრონ თავიანთ საქმიანობას. მეთაურები მუდამ ცოცხალ მაგალითს უნდა წარმოადგენდნენ ჯარებისათვის. ისინი უნდა იყვნენ ყოველმხრივ მომზადებული და განვითარებული ადამიანები, რომლებიც უნდა იძლეოდნენ მტკიცე ნებისყოფის, მოფიქრებულობისა და გაბედულობის, სამხედრო წესრიგისადმი პატივისცემის ნიმუშებს; ისინი არმიის მოწინავე, კულტურული ადამიანები უნდა იყვნენ.

წითელი არმია წარმატებით ეწევა შეტევითს ბრძოლებს და ათავისუფლებს საბჭოთა მიწა-წყალს ჰიტლერული სიბილწისაგან. საბჭოთა ჯარების მხრივ გამანადგურებელი დარტყმებით, მიუხედავად გააფთრებული წინააღმდეგობისა, მტერი იძულებულია ზედიზედ დასტოვოს ქალაქები, სოფლები, მის მიერ ოკუპირებული ყოველი მტკაველი მიწა.

წარმოებულ ბრძოლებში მტერს უდიდესი ზარალი მოსდის. როგორც დღეს საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყება, მარტო სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით წარმოებულ ბრძოლებში იანვრის 5 დღის განმავლობაში ჰიტლერელებმა მარტო მოკლულთა სახით 20.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. წამოყვანილია მრავალი ტყვე, მოსპობილია მტრის საომარი ტექნიკის უდიდესი რაოდენობა.

ეჭვი არ არის, რომ ორგანიზებული და მონოლიტივით შემჭიდროებული წითელი არმია, რომელსაც წინამძღოლობენ ნიჭიერი და მამაცი მეთაურები, რომელსაც მიუძღვის მისი გენიალური მხედართმთავარი ამხანაგი სტალინი, მომავალშიც აგემებს მტერს ახალ-ახალ მძლავრ დარტყმებს, ყოველ საათობით, დღითიდღე მოახლოებს ჩვენს საბოლოო გამარჯვებას.

„პრავდის" მოწინავე, 7/I.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

მოლოტოვის სახელობის № 172 საარტილერიო ქარხნის მოწოდებას კონკრეტული საქმეებით ვუპასუხოთ

ბელადის სახელობის ქარხანაში

შეიარაღების სახალხო კომისარიატის მოლოტოვის სახელობის № 172 ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მოწოდებამ წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივში.

7 იანვარს დილით ქარხნის აგიტპუნქტში მოწვეულ იქნა აგიტატორების თათბირი, რომელზედაც გაეცნენ № 172 საარტილერიო ქარხნის კოლექტივის წერილს და 5 იანვრის „პრავდის" მოწინავეს. გუშინვე 90 აგიტატორმა დილისა და საღამოს ცვლებში მუშებს წაუკითხა № 172 ქარხნის კოლექტივის წერილი ამხანაგ სტალინისადმი და „პრავდის" 5 იანვრის მოწინავე.

საღამოს ამავე საკითხზე ქარხნის პარტბიურომ მოიწვია საამქროთა უფროსებისა და პარტორგების თათბირი; გუშინვე ქარხნის საამქროებში 9 იანვარს საწარმოო თათბირების ჩატარების მოსამზადებლად ქარხკომმა მოიწვია პლენუმი. საწარმოო თათბირები შეაჯამებენ განვლილი მუშაობის შედეგებს და განიხილავენ ახალ ვალდებულებებს მოლოტოვის სახელობის № 172 ქარხნის კოლექტივის მოწოდების პასუხად.

კიდევ უკეთესად ვიმუშავებთ

ჩვენმა საამქრომ წლიური გეგმა 11 თვეში შეასრულა, ხოლო დეკემბრის გეგმა — ვადაზე ორი დღით ადრე. ჩვენ იანვრის პირველი დღეებიდანვე ახალი ძალით გავაჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება განყოფილებებსა, ბრიგადებსა და ცალკეულ მუშებს შორის იანვრის საწარმოო გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ათასოვანი სტახანოველი ნ. სკლიაროვი, რომელმაც დეკემბრის გეგმა 930 პროცენტით შეასრულა, იანვრის პირველ დღეებში ყოველდღიურად ნორმას 450-500 პროცენტით ასრულებს. ღამის ცვლაში მომუშავე მღარველი ქალი მ. ბულიგინა ახალ წელს დაზგასთან შეხვდა და დღიური ნორმა 315 პროცენტით შეასრულა.

წარმატებით მუშაობენ სტახანოველი ზეინკლები ო. დიდმელაშვილი, ო ამირანაშვილი, ა. ქ. მარტიროსოვი, შ. ბერიძე და სხვები, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას და ყოველდღიურად ნორმებს 300-400 პროცენტით ასრულებენ.

საამქროში დღიურ ნორმებს ყველა მუშა ასრულებს. ჩვენთან 4 ხუთასოვანი და 21 ორასოვან-სამასოვანი სტახანოველია. ვალდებულებას ვიღებთ მოლოტოვის სახელობის № 172 საარტილერიო ქარხნის მუშაკთა მოწოდების საპასუხოდ კიდევ უკეთესად ვიმუშაოთ, ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად და სამშობლოს, ფრონტს მივცეთ მეტი და მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

გ. კოკიანოვი

ნ ქარხნის მექანიკურ-ამწყობი საამქროს უფროსი.

გეგმების შესრულება

ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების 1942 წლის გეგმა შეასრულეს 116 პროცენტით, ყველისა—103 პროც., ტყავისა—148 პროც., თივისა—133 პროც., კვერცხისა—100 პროც., ბოსტნეულისა—100 2 პროცენტით. მთლიანად გასტუმრებულია ნატურსაზღაური მტს-ის მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის. გარდა ამისა, 1943 წლის გეგმის ანგარიშში სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 16.300 კილოგრამი ხორცი.

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი **კაკაბაძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **კალანდაძე**

* * *

მახარაძე („კომუნისტის" საკ. კორ.). მახარაძის რაიონმა ტუნგოს ნაყოფის დამზადების წლიური გეგმა 120 პროცენტით შეასრულა.

ტუნგოს ნაყოფის დამზადების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ლაითურის, ნასაკირალის და ნატანების საბჭოთა მეურნეობებმა, აგრეთვე შრომის, ნატანების და გურიანთის კოლმეურნეობებმა.

ტუნგოს დამზადება გრძელდება.

ლ. ლოლაძე

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

გიპატაკებთ, რომ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი მეტრომშენის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა დაამთავრა მეტროპოლიტენის ზამოსკვორეცკის რადიუსის — 6,2 კილომეტრ სიგრძის ორგვირაბიანი გზის მშენებლობა „სვერდლოვის მოედნის" სადგურიდან „სტალინის სახელობის ავტოქარხნის" სადგურამდე.

ზამოსკვორეცკის რადიუსი შეერთებულია გორკის, კიროვის, არბატის, პოკროვკის და ფრუნზეს რადიუსებთან, რაც დიდად მოხერხებულია დედაქალაქის მშრომელებისათვის.

1943 წლის 1 იანვარს დაიწყო მატარებელთა მოძრაობა მეტროპოლიტენის ზამოსკვორეცკის რადიუსზე.

მესამე რიგის მეტროპოლიტენის მშენებლობა და ამუშავება მოწმობს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს სიძლიერეს და მისი საბრძოლო ზურგის სიმტკიცეს.

მეტრომშენის კოლექტივი, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სტალინგრადის, დონის, ცენტრალურ ფრონტებზე და ჩრდილოეთ კავკასიაში გმირი წითელი არმიის შეტევით აღფრთოვანებული, პირობას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ იგი შემდგომშიც მთელი ენერგიით, თავდადებით იბრძოლებს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებათა შესასრულებლად.

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე მომავალ გამარჯვებას!

მეტრომშენის უფროსი **სამოდუროვი.**
საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პარტორგი მეტრომშენზე **მატვეევი.**
მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე **ნიკიტინი.**
„მეტროსტროის" უფროსის მოადგილე **ჩესნოკოვი,**
დანკოვცევი.
მთავარი არქიტექტორი **დუშკინი.**
შახტების უფროსები **ფილიპოვი,**
ტიშჩენკო,
ლიფეროვი,
დანელია,
სმეტანკინი,
გლებოვი,
ვაზიანოვი,
შტერნი.
ინჟინერი **ფედოროვა.**
გამთხრელი **დგებუაძე.**
მებიგე **დუგოდელი.**
მეტიუბინგე **ნიკიფოროვი.**
მემონტაჟე **ფედოროვი.**
მელიანდაგე **შევჩენკო.**
მკვერავი **კოჩკინი.**

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომის პლენუმი

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის XVI პლენუმი, რომელმაც განიხილა სამი საკითხი: სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა ქუთაისის საწარმოებში, მუშათა ახალი კადრების პოლიტიკური აღზრდისა და საწარმოო სწავლების შესახებ და ქუთაისის ორგანიზაციებში საქალაქო კომიტეტის XV-დან XVI პლენუმამდე პარტიაში მიღების შედეგები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქალაქო კომიტეტის მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ამხ. ნ. სტურუამ.

სამამულო ომის პერიოდში გაიზარდა აგიტკოლექტივების ქსელი და აგიტატორთა რიცხვი, გაუმჯობესდა პროპაგანდისა და აგიტაციის ხარისხი. შეიქმნა მიმდინარე პოლიტიკისა და საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მთელი რიგი წრეები.

პლენუმზე გაკრიტიკებულ იქნა აბრეშუმკომბინატში, საკონსერვო ქარხანასა და ქალაქის სხვა საწარმოებში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ნაკლოვანებანი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ჩხეიძემ (პედაგოგიური ინსტიტუტი), იოსელიანმა (აბრეშუმკომბინატი), სახელაშვილმა (რკინიგზის კვანძი), ლალიაშვილმა (პარტიის საქალაქო კომიტეტი) და სხვ.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქალაქო კომიტეტის მდივანმა კადრების დარგში ამხ. ნ. კიკაჩეიშვილმა; მოხსენება ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების შედეგების შესახებ გააკეთა საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. ავალიანმა.

ყველა საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

7 იანვრის დილის ცნობა

6 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯაები დონის შუაწელის რაიონში, სტალინადის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით, ნტრალურ ფრონტზე და ჩრდილოეთ კავხიაში განაგრძობდნენ ბრძოლებს წინანდელი მართულებებით.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები ალკეულ უბნებზე ცეცხლით ბრძოლასა და ოწინააღმდეგის დაზვერვას ეწეოდნენ. საქარო რაიონში მოიერიშეთა ჯგუფებმა ხელთ გდეს მტრის რამდენიმე ბლინდაჟი. სტალინრადის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეემ რამდენიმე გამოხდომა მოახდინა. ჩვენმა ებრძოლებმა ჰიტლერელთა მზვერავი ჯგუფეი მოსწყვიტეს ძირითად ძალებს და დახოცეს 00-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხვა უბანზე ჩვენმა ქვედანაყოფებმა, იერიში იტანეს რა მოწინააღმდეგის პოზიციებზე, აიკავეს 20 სანგარი და ხელთ იგდეს ტყვეები.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით და ამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. 6 ნაწილის მებრძოლნი ღამით შეიჭრნენ მოწინააღმდეგის განლაგებაში და უეცარი იერიშით დაიკავეს ორი დასახლებული პუნქტი. ჩვენმა მებრძოლებმა ხიშტითა და რანატებით გაჟლიტეს 200-მდე ჰიტლერელი და ტყვედ წამოიყვანეს 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი. სხვა უბანზე ჩვენმა ქვედანაყოფებმა ხელთ იგდეს 4 ქვემეხი, 6 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 200 შაშხანა, 20 ხელისა და 5 დაზგის ტყვიამფრქვევი, 1.000 ყუმბარა, 20.000 ვაზნა და სხვა დავლა.

* * *

დონის შუაწელის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ. 6 ნაწილის მებრძოლებმა შეაღწიეს მოწინააღმდეგის ზურგში და გაანადგურეს მტრის მაშველი ძალები, რომლებიც ფრონტს უახლოვდებოდნენ. დახოცილია 400 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დავლა, მათ შორის 48 ავტომანქანა, 12 ტანკსაწინააღმდეგო და 4 საველე ქვემეხი. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა, მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით. რჟევის დასავლეთით მდებარე რაიონში ნ ნაწილმა, მოიგერია რა მოწინააღმდეგის კონტრიერიში, მოსპო 200-ზე მეტი ჰიტლერელი. მოიერიშე მოთხილამურეთა ჯგუფმა ამხ. ჩერნოვის მეთაურობით უეცარი თავდასხმით გაანადგურა გერმანელთა გარნიზონი ერთ დასახლებულ პუნქტში. ბრძოლის შედეგად ვაჟლეტილია გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი, წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენი ნაწილები, სძლევენ რა ჰიტლერელთა წინააღმდეგობას, წარმატებით მიიწევენ წინ. დიდი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლებში ნ შენაერთმა მოსპო მტრის 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდო 28 ტანკი, 7 ჯავშნიანი მანქანა, 160 ავტომანქანა, 21 ქვემეხი, 74 ტყვიამფრქვევი, 33 ნაღმსატყორცნი, რამდენიმე საწყობი საომარ მასალიანად და სურსათიანად. ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

სუმის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ორი კვირის განმავლობაში გაჟლიტა 300-მდე გერმანელი ფაშისტი დამპყრობი. საბჭოთა პატრიოტებმა დასწვეს გერმანელთა ყაზარმა და სურსათის საწყობი, მოსპეს 6 სატვირთო ავტომანქანა და ლიანდაგიდან გადააგდეს მოწინააღმდეგის სარკინიგზო ეშელონი. გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებთან ბრძოლებში პარტიზანებმა ხელთ იგდეს 6 ტყვიამფრქვევი, 3 ავტომანქანა, 42 შაშხანა, 16 რევოლვერი, 8 საზიდარი საომარ მასალიანად და 42.000 ვაზნა. ერთ დასახლებულ პუნქტში პარტიზანებმა გაჟლიტეს გერმანელთა საპატიმროს მცველი რაზმი და გაათავისუფლეს საბჭოთა 7 მოქალაქე, რომლებსაც ჰიტლერელების მიერ დახვრეტა ჰქონდათ მისჯილი.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს ქალაქ კრასნოდარში. ქალაქის ერთ-ერთ რაიონში საბჭოთა ქალიშვილმა მოჰკლა გერმანელი ოფიცერი, რომელიც ცდილობდა მის გაუპატიურებას. ჰიტლერელებმა ბანდიტი დიდის ამბით დაასაფლავეს, შემდეგ კი ხელი მიჰყვეს მშვიდობიან მცხოვრებთა, ქალთა და ბავშვთა აწიოკება-ხოცვას. ისინი სახლებში იჭრებოდნენ და მთელ ოჯახებს ჟლეტდნენ. ერთი დღის განმავლობაში ფაშისტმა მტარვალებმა ქალაქის 300-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები მოჰკლეს.

7 იანვრის სალამოს ცნობა

7 იანვრის განმავლობაში ჩვენი ჯარები დონის ქვემოწელის რაიონში განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს რაიონული ცენტრები **მარტინოვკა, ნიკოლაევსკაია, რომანოვსკაია**, დიდი დასახლებული პუნქტები—**მალო-ხლოპოვსკი, ვლასოვი, ვიშნევკა, ნიკოლაევი, ალექსანდროვი, ნოვოპეტროვსკი, დემკოვი, ზაზერსკი, კუზტაჩევი, ვიფლიანცევი, სტრახოვი, შამინკა, ტაპილინი** და რკინიგზის სადგური **ვალკოვო**.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრები **სტეპნოე, სოვეტსკაია**, დიდი დასახლებული პუნქტები — **სოლომენსკოე, სუხაია პადინა, სევერნი**.

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

6 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილების მიერ ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპობილია ან დაზიანებულია გერმანელთა 5 ტანკი, 120-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩახშობილია 15 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, აფეთქებულია საომარ მასალათა საწყობი და საწვავის საწყობი, გაფანტულია და ნაწილობრივ გაწყვეტილია მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენმა მოიერიშე რაზმებმა წამოიღეს დავლა და წამოიყვანეს ტყვეები. არტილერისტები მხარს უჭერდნენ მოიერიშე ჯგუფების მოქმედებას და ჩაახშეს მტრის 12 საცეცხლე წერტილი და დაანგრიეს 9 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და ბლინდაჟი. სტალინგრადის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით თოფისა და ტყვიამფრქვევის სროლა და მზვერავების აქტიური მოქმედება იყო ორივე მხრით. ნ ნაწილის მებრძოლებმა მტერი განდევნეს 20 სანგრიდან, გასწყვიტეს 150 ჰიტლერელი, ხელთ იგდეს 6 ტყვიამფრქვევი, 145 შაშხანა და რადიოსადგური.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, წინ მიიწევდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ნ შენაერთის ნაწილები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ ერთი დიდი დასახლებული პუნქტისათვის. მტერმა აქ თავი მოუყარა ახალ ძალებს, მათ შორის „სს"-ელთა ნაწილებს. საბჭოთა მებრძოლები მეთოდურად ერეკებიან გერმანელებს სიმაგრეებიდან, სპობენ მტრის ტექნიკასა და ცოცხალ ძალას. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა გაანადგურეს გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონი, რომელიც მნიშვნელოვან ზღუდეებს იცავდა. გაწყვეტილია 600-მდე ჰიტლერელი. მოსპობილია 7 ტანკი და 26 ავტომანქანა. წამოყვანილია ტყვეები, წამოღებულია 3 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 18 ავტომანქანა, საომარ მასალათა საწყობი და სხვა დავლა.

* * *

დონის შუაწელის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. ზოგიერთ უბანზე მტერი, შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევა და კონტრიერიშებზე გადმოდის. საბჭოთა მებრძოლები იგერიებენ ჰიტლერელთა კონტრიერიშებს და წარმატებით მიიწევენ წინ. ნ ნაწილის მებრძოლებმა ორი დღის განმავლობაში გასწყვიტეს გერმანელთა ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, მოსპეს 7 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა და 25 ავტომანქანა საომარ მასალიანად. თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა ორი თვითმფრინავი. სხვა უბანზე გვარდიის ნაწილებმა მოიგერიეს 12 იერიში გერმანელთა გარნიზონისა, რომელიც ცდილობდა გარშემორტყმიდან გამოჭრას. საბჭოთა ჯარების რკალი კიდევ უფრო ვიწროვდება დასაღუპავად განწირული მტრის გარნიზონის გარშემო. ჩვენმა მებრძოლებმა ტყვედ წამოიყვანეს პოლკოვნიკი—გერმანელთა ერთი ქვეითი პოლკის მეთაური.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები მაგრდებოდნენ მიღწეულ ზღუდეებზე და ძალთა ნაწილით იგერიებდნენ მტრის კონტრიერიშებს. ველიკიე ლუკის სამხრეთ-დასავლეთით ნ ნაწილმა მოიგერია მტრის დიდძალი ქვეითი ჯარისა და ტანკების რამდენიმე კონტრიერიში. გაწყვეტილია 400-ზე მეტი ჰიტლერელი, მოსპობილია 3 თვითმავალი ზარბაზანი, 2 სანაღმსატყორცნო ბატარეა და დაზიანებულია 16 ტანკი.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და 40 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. გვარდიელმა ტანკისტებმა ამხ. ბეკასოვის მეთაურობით გასწყვიტეს მტრის 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. გვარდიის ლეიტენანტ გურიაშკინის, გვარდიის უფროს ლეიტენანტ პოლიშჩუკის სატანკო ეკიპაჟები დასახლებულ პუნქტში შეიჭრნენ და მოსპეს მტრის საცეცხლე წერტილები. ჩვენმა მეავტომატეებმა უკანდასახევი გზა მოუჭრეს ჰიტლერელებს და სასტიკ შეტაკებაში 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს. გერმანელები, რომლებიც საბჭოთა ნაწილების დარტყმათა შედეგად უკან იხევენ, სწვავენ სოფლებს, აფეთქებენ ხიდებს, ნაღმავენ გზებს, მიწურებსა და ბლინდაჟებს. იმ ნაწილის მესანგრეებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. დემინი, სამი დღის განმავლობაში ამოთხარეს და გააუვნებლეს 2.000-ზე მეტი ნაღმი.

* * *

ორიოლის ოლქში მოქმედმა ჩაპაევის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა რამდენიმე თავდასხმა მოახდინა გერმანელთა მცირე გარნიზონებზე და 53 ჰიტლერელი დახოცა. საბჭოთა პატრიოტებმა ხელთ იგდეს 80 ცხენი, 3 ტყვიამფრქვევი, 32 შაშხანა და 7.000 ვაზნა. პარტიზანული რაზმის „ზა როდინუ" ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის სამხედრო ეშელონი. დამტვრეულია 6 ვაგონი და 2 პლატფორმა საომარ ტექნიკიანად.

* * *

სტალინგრადის რაიონში საბჭოთა მფრინავები და მეზენიტეები ყოველდღე აგდებენ გერმანელთა სატრანსპორტო თვითმფრინავებს. უკანასკნელ დროს ტყვედ წამოყვანილია გერმანელ მფრინავთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. ტყვე ობერ-ეფრეიტორმა, მფრინავმა მეთვალყურემ პაულ შენმა განაცხადა: „დეკემბერში ჩვენმა ავიაჯგუფმა ბაზა დემიანსკიდან სამხრეთით გადაიტანა. ჩვენ საომარი მასალა და სურსათი მიგვქონდა სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმულ გერმანელთა დივიზიებისათვის. მე მხოლოდ ერთი გაფრენა მოვახდინე. მეორე გაფრენა ძლიერ სავალალოდ დამთავრდა. საბჭოთა ავიაგამანადგურებელმა ჩამოაგდო ჩვენი თვითმფრინავი „იუნკერს-52", რომელზედაც, გარდა ეკიპაჟისა, ორი ტონა პური იყო. რამდენიმე დღის განმავლობაში იმ რაზმს, რომელსაც მე ვეკუთვნოდი, მთელი თვითმფრინავების ნახევარი დააკლდა. გარშემორტყმაში მყოფი გერმანელთა ჯარების მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ჯარისკაცები ლეშს—მკვდარ ცხენებსაც კი სჭამენ".

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა საშინლად გაუსწორეს ანგარიში ლენინგრადის ოლქის სოფელ პუსტოშკის გლეხებს. ჰიტლერელებმა ყველა მცხოვრები გარეთ გამორეკეს, შემდეგ კი მათი ქონება დაიტაცეს და სახლები და ნაგებობანი დასწვეს. ჯალათებმა ამოხოცეს კოლმეურნე კოპილოვის, ბრიგადირ ანუფრიევისა და მასწავლებელ რეშეტნიკოვის ოჯახები. ყველა მოზრდილი მცხოვრები მათ იძულებით სამუშაოზე გარეკეს.

განთავისუფლებულ მოზდოკში

მოქმედი არმია, 7 იანვარი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). კიროვის სახელობის მთავარი ქუჩით განუწყვეტლივ მიდიან დასავლეთისაკენ საბჭოთა ნაწილები. მოსახლეობა უდიდესი სიხარულით ხვდება თავის განმათავისუფლებლებს. მცხოვრებნი ერთმანეთს არ აცლიან და პატიჟობენ წითელარმიელებს სახლებში, რათა გაუმასპინძლდნენ ჩაით, მოუთხრობენ მათ ფაშისტური რეჟიმის საშინელებას.

აი აქ, ფომინის ქუჩისა და ბაზრის მოედნის კუთხეში, ჩამოახრჩეს დაჭრილი პოლიტხელი. კიროვის ქუჩის ერთ-ერთ სახლში ჰიტლერელებმა დახვრიტეს 25 დაჭრილი ტყვე წითელარმიელი. გრძნობდნენ რა თავიანთ აღსასრულს, გერმანელები განსაკუთრებით მძვინვარებდნენ უკანასკნელ დღეებში. 25 დეკემბერს მათ ქალაქგარეთ დახვრიტეს 30 საბჭოთა მოქალაქე. მალე ამის შემდეგ ხუტორ ტროიცკიში წაიყვანეს კიდევ რამდენიმე ათეული მშვიდობიანი მცხოვრები და დახვრიტეს.

საბჭოთა მებრძოლებმა მოზდოკში გაათავისუფლეს ტყვე წითელარმიელები. საშინელი დრო გამოსცადეს ამ ადამიანებმა. ტყვეებს მხეცურად სცემდნენ, საჭმელს არ აძლევდნენ. ადამიანები შიმშილითა და ავადმყოფობით კვდებოდნენ. მკვდრები მთელი კვირეების მანძილზე ცოცხლებთან ერთად იმყოფებოდნენ ერთ სადგომში. ბანაკის კომენდანტი აწამებდა დამწყვდეულთ, აუპატიურებდა ბანაკში მყოფ ქალებს. ქალაქი და ახლომახლო კოლმეურნეობანი გაძარცვეს.

ქალაქის ცნობა ძნელია.

ყველგან ხედავ ნანგრევებს, იშვიათია ისეთი სახლი, რომელიც წინანდელი სახით იყოს დარჩენილი. კიროვის ქუჩის ყველა სახლში ჩალეწილია ფანჯრის ჩარჩოები და კარები, აყრილია იატაკი. ასეთივე სურათია სხვა ქუჩებშიც.

მოზდოკის მოსახლეობა გონს მოვიდა მძიმე კოშმარის შემდეგ და ხელს ჰკიდებს მუშაობას. შუშდება ჰიტლერელ დამპყრობთა მიერ ქალაქისათვის მიყენებული ჭრილობები.

გერმანელები, რომლებსაც სდევნიან ჩვენი ნაწილები, უკან იხევენ და ზედიზედ სტოვებენ პუნქტებს.

ა. სტეკოლნიკოვი

ავაგოთ სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნე"

დამატებით 150.000 მანეთი

ხალხთა საყვარელი ბელადის და გენიალური მხედართმთავრის — ამხანაგ **სტალინის** მისალმებით აღფრთოვანებულმა ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეებმა სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" მშენებლობისათვის დამატებით შეიტანეს 150.000 მანეთი.

წარმატებით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეგროვება წითელი არმიისათვის, ქალაქების თავდაცვითი საწარმოების მუშებისა და ინტელიგენციისათვის. კოლმეურნეებმა თავიანთი დანაზოგიდან შეაგროვეს 1.176 ფუთი სიმინდი, 128 ფუთი ლობიო, 483 ფუთი კარტოფილი, 82 ქათამი, აგრეთვე ხორცი, ყველი, კვერცხი, თაფლი, ნიგოზი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

სასურსათო პროდუქტების შეგროვება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი **ს. საყვარელიძე**

სახსრების შეგროვება გრძელდება

მახარაძე (ტელეგრაფით). სოფ. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დამატებით შეაგროვეს სახსრები სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" ასაგებად. კოლმეურნეები, აღფრთოვანებულნი ამხანაგ **სტალინის** მისასალმებელი დეპეშით და ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის წარმატებითი შეტევით, კიდევ უფრო აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას. სტახანოველმა კოლმეურნემ შ. კვაჭანტირაძემ სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" მშენებლობის ფონდში შეიტანა 2.500 მანეთი, ბრიგადირებმა და მოწინავე კოლმეურნეებმა ა. თოიძემ, ი. ხურციძემ, მ. წითლიძემ, ვ. გობრონიძემ—ორ-ორი ათასი მანეთი, ნ. კოსტავამ, ვ. ნაკაიძემ, ვ. თოიძემ, ა. ღლეყვამ, გ. კვაჭაძემ, ა. ფურაძემ, ლ. გოგოტიშვილმა, მ. ხურციძემ, კ. თავაძემ, მ. მუჯირმა, ვ. გორგილაძემ, ი. ნაკაიძემ და სხვ. 1.500-1.600 მანეთი თითოეულმა. მე პირადად ჩემი დანაზოგიდან შევიტანე 18.000 მანეთი. სულ შეგროვებულია 252.000 მანეთზე მეტი.

დიდი წარმატებით მიმდინარეობს სასურსათო პროდუქტების შეგროვება წითელი არმიისათვის და ქალაქის მშრომელთათვის. კოლმეურნეებმა თავიანთი დანაზოგიდან შეაგროვეს 2.800 კილოგრამი ხორცი, 2.500 კილოგრამი მარცვლეული და სხვ.

სახსრებისა და პროდუქტების შეგროვება გრძელდება.

ვ. ჯაბუა

სოფ. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

წითელი არმიისა და ქალაქის მშრომელთათვის

ვანი („კომუნისტის" სპეც. კორ.). ვანის რაიონის კოლმეურნეებმა თავიანთი პირადი გარდამეტებიდან წითელი არმიისა და ქალაქის მშრომელთათვის შეაგროვეს 3.330 ფუთი სასურსათო პროდუქტი, მათ შორის სიმინდი—2.931 ფუთი, ყველი და ლობიო—10-10 ფუთი, ხორცი—126 ფუთი, ხახვი და კარტოფილი—212 ფუთი. აგრეთვე კვერცხი, ხილი, ღვინო, არაყი და სხვ.

მარტო სოფ. ზედა ციხესულორის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გაიღეს 200 ფუთამდე სიმინდი და ყველი, ლობიო, ხორცი და სხვ., სოფ. სულორის კოლმეურნეობა „შრომის გმირის" წევრებმა—240 ფუთი სიმინდი. გარდა ამისა ხილი, ბოსტნეული და სხვ., სოფ. საპრასიის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა—220 ფუთი სიმინდი, 60 კილოგრამი ლობიო, 200 კილოგრამი კარტოფილი და სხვ.

დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გაიღეს აგრეთვე სოფ. უხუთის, ყუმურის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობათა წევრებმა.

„წითელმა არმიამ თავის ხელში აიღო ინიციატივა"

ამერიკული პრესის გამოხმაურება საბჭოთა ჯარების შეტევაზე

ნიუ-იორკი, 7 იანვარი (საკდესი). წითელი არმიის შეტევა კვლავ უდიდეს ინტერესს იწვევს შეერთებული შტატების მოსახლეობის ფართო ფენებში. გაზეთები და რადიო მთავარ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობებს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველი ბები კომენტარს უძღვნის ცნობას საბჭოთა ჯარების მიერ მოზდოკის დაკავების შესახებ და სწერს, რომ გერმანელთა სარდლობა, უეჭველია, სერიოზულად არის შეშფოთებული იმით, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მისი ჯარების პოზიციები მტკიცე არ არის. ბები აღნიშნავს აგრეთვე საბჭოთა ჯარების მიერ ველიკიე ლუკის დაკავების დიდ მნიშვნელობას. „გერმანელებმა,—სწერს იგი,—ველიკიე ლუკი თავის ერთ-ერთ ძირითად სიმაგრედ გადააქციეს, რომელიც გამაგრებული იყო გერმანული სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების ყველა რესურსისა და ყველა შესაძლებლობის გამოყენებით და რომელსაც შეუპოვრად იცავდნენ". მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ველიკიე ლუკის დაკავება გახდა ახალი დამამტკიცებელი საბუთი წითელი არმიის უნარისა გამანადგურებლად დაარტყას გერმანიის გამაგრებულ პუნქტებსაც კი, რომელთაც ყველაზე შეუპოვრად იცავენ.

ველიკიე ლუკის აღების დიდ მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი". იგი მოგვაგონებს, რომ ეს ქალაქი გერმანელთა თავდაცვის ხაზის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ გამაგრებული პუნქტი იყო. „ველიკიე ლუკის დაკავების მნიშვნელობაზე,—სწერს გაზეთი,—შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ გერმანიის სარდლობა ამ ფაქტს უმალავს გერმანელ ხალხს. გერმანელები ველიკიე ლუკს მიუდგომლად სთვლიდნენ, მაგრამ ახლა რუსთა ძალები იმდენად გაიზარდნენ, რომ მათ შესძლეს ამ პუნქტის დაკავება".

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მიმომხილველი ბოლდუინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოზდოკის, პროხლადნისა და ნალჩიკის დაკავება სტრატეგიული მასშტაბის მიღწევას წარმოადგენს. ბოლდუინი წითელი არმიის გასული წლის ზამთრის შეტევითს ოპერაციებს ადარებს ახლანდელ შეტევას და აღნიშნავს, რომ ამ ზამთარში წითელმა არმიამ თავისი შეტევითი ოპერაციები უფრო ადრე დაიწყო და უფრო ჩქარა მიიწევს წინ, ვიდრე შარშან. წითელი არმიის წინსვლამ უკვე შეუქმნა სერიოზული საფრთხე გერმანელთა მნიშვნელოვან კომუნიკაციებს.

გაზეთი „სტარი" (გამოდის კანზას-სიტიში) აღნიშნავს, რომ წითელი არმიის შეტევის წარმატება აიხსნება კარგად ჩატარებული მომზადებით, რამაც გადააჭარბა საბჭოთა კავშირის არა მარტო მეგობრების, არამედ აგრეთვე მტრების ყოველ მოლოდინს.

თურქული პრესა საბჭოთა ჯარების საბრძოლო წარმატებათა შესახებ

ანკარა, 7 იანვარი (საკდესი). ცნობები წითელი არმიის ნაწილების შეტევითი ოპერაციებისა და მათ მიერ მიღწეულ საბრძოლო წარმატებათა შესახებ უდიდეს ინტერესს იწვევენ თურქეთის მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში. პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ამ ცნობებს და გაცხოველებით უკეთებს კომენტარს.

გაზეთი „ანადოლუ", ეხება რა მოწინავე სტატიაში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანელთა ჯარების მდგომარეობის საკითხს და ცნობებს საბჭოთა ჯარების შეტევის შესახებ, აღნიშნავს, რომ წითელი არმიის მძლავრმა დარტყმამ გერმანელები აიძულა თავდაცვაზე გადასულიყვნენ ჯერ კიდევ ზამთრის დადგომამდე. ახლა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, გერმანელთა ჯარები უკან იხევენ ფართო ფრონტზე და სტოვებენ მთელ რიგ მნიშვნელოვან რაიონებსა და სტრატეგიულ პუნქტებს, რომლებიც წინათ დაიპყრეს. გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანელთა ჯარების მდგომარეობა ამ ზამთრის განმავლობაში მკვეთრად გაუარესდა. რაც შეეხება წითელ არმიას,—სწერს გაზეთი,—„მას ახლა უფრო მეტი შეტევითი ძალა აქვს, ვიდრე როდისმე წინათ ჰქონდა".

აღმოაჩინეს შეთქმულება ანტონესკუს „მთავრობის" წინააღმდეგ

ლონდონი, 7 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ რუმინეთის პოლიციამ 4.000-ზე მეტი კაცი დააპატიმრა მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა რკინისგვარდიელთა შეთქმულება ანტონესკუს მთავრობის წინააღმდეგ. 80 დაპატიმრებული უკვე დასაჯეს სიკვდილით. რკინის გვარდიის ყოფილი მეთაური ხორია სიმა დააპატიმრეს იტალიაში, როცა მიემგზავრებოდა რუმინეთს, სადაც გერმანიიდან მიდიოდა აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

გაზეთ „ბაზლერ ნახრიხტენის" ცნობით, დაპატიმრებულთა შორის არიან: ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ნაციონალ-ცარანისტთა პარტიის ლიდერი იულიუს მანიუ, ხორია სიმას ცოლი, რუმინეთის ყოფილი რომაელი დესპანი ვოიანი. შეთქმულებაში გარეულია აგრეთვე მრავალი სახელმწიფო მოხელე. ბუქარესტის ქუჩებს ღერძის სახელმწიფოთა ჯარები იცავენ. ყველა სტრატეგიულ პუნქტში დადგმულია ტყვიამფრქვევები. რკინიგზებსა და გზატკეცილებს გულდასმით უწევენ მეთვალყურეობას. ყველა საზოგადოებრივი ადგილი დახურულია, ქუჩებში მიმოსვლა წყდება 23 საათიდან. საზღვარზე შემოღებულია სიფრთხილის კიდევ უფრო მკაცრი ზომები.

ოდესა ფაშისტთა უღელქვეშ

სტამბოლი, 7 იანვარი (საკდესი). ერთ წელზე მეტია თარეშობენ რუმინელ-გერმანელი ოკუპანტები ოდესაში. საუცხოო საბჭოთა ქალაქი წყვდიადით მოცულ ვეებერთელა საპყრობილედ არის გადაქცეული. საბჭოთა მოქალაქეების ცხოვრება ოკუპანტების უღელქვეშ უმაგალითო ტანჯვით ხასიათდება. ყოველივე ამაზე ცინიკურად ლაპარაკობს ჰიტლერული გაზეთი „დონაუ ცაიტუნგი".

ეს ფაშისტური ფურცელი კმაყოფილებით აღნიშნავს: ოკუპირებული რაიონების მოსახლეობის ფიზიკური მოსპობის პოლიტიკას ის შედეგი მოჰყვა, რომ ოდესის მოსახლეობა „ერთიორად და უფრო მეტად შემცირდა".

ოკუპანტები გადაჭრით სპობენ ქალაქის ცხოვრებაში ყოველივე რუსულსა და უკრაინულს. ქუჩების სახელები,—იუწყება ფაშისტური გაზეთი,—წარწერილია რუმინულ ენაზე, აბრები—რუმინულ და გერმანულ ენაზე. მთელ ქალაქში დარჩენილ ერთად-ერთ სკოლაში სწავლება რუმინულ ენაზე სწარმოებს. საბჭოთა ადამიანებს სასტიკი რეპრესიების მუქარით უკრძალავენ მშობლიურ ენაზე ლაპარაკს.

მამაკაცთა უმრავლესობას, რომლებმაც კი ევაკუირება ან პარტიზანულ რაზმებში წასვლა ვერ მოასწრეს, გესტაპოსა და სიგურანცის საპატიმროებში წამებით ამოჰხადეს სული.

ოდესის მოსახლეობა, იმავე გაზეთის აღიარებით, მშიერი და შიშველ-ტიტველი დაიარება, ვინაიდან ოკუპანტებმა იგი სულ მთლად გაძარცვეს. „ქალაქის მცხოვრებთ ძონძები აცვიათ,—სწერს გაზეთი, მათი ტანისამოსი და ფეხსაცმელი იმდენად გაცვეთილია, რომ ძლივს ჰფარავენ სხეულს". ოდესის მცხოვრებთ არავითარი პროდუქტები არ ეძლევათ.

უმაგალითო გაჭირვებამ, რასაც ოდესის მცხოვრებნი განიცდიან, რუმინული გაზეთების აღიარებით, გამოიწვია სიკვდილიანობის მკვეთრად გადიდება ქალაქის მოსახლეობაში.

გაზეთი „პორუნკა ვრემიი" ამას წინათ იუწყებოდა, რომ მედიკამენტებისა და სამედიცინო დახმარების უქონლობის გამო ქალაქში პარტახტიანი და მუცლის ტიფის და ყვავილის ეპიდემიები მძვინვარებს.

საბჭოთა ადამიანების აბუჩად აგდებაში რუმინელი მახინჯები ჰიტლერელ კაციჭამიებს არ ჩამორჩებიან. „რუსებს მხოლოდ თვალები დავუტოვოთ ცრემლებისათვის",—მოუწოდებს ფაშისტური გაზეთი „კურენტული".

საომარი მოქმედება ტუნისში

ლონდონი, 7 იანვარი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ-აფრიკის ჯარების შტაბის კომუნიკე იუწყება, რომ 5 იანვარს ინგლისის ჯარებმა იერიშები მიიტანეს, რათა განედევნათ მოწინააღმდეგე მაღლობებიდან, რომლებიც დაჰყურებენ მოკავშირეთა პოზიციებს გზის გასწვრივ, დაახლოებით 15 მილზე მატერის დასავლეთით, ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე. მოკავშირეთა ჯარებმა გაწმინდეს პოზიციები ცალკეული სატყვიამფრქვევო ბუდეებისაგან და მოიგერიეს მოწინააღმდეგის კონტრიერიში.

მოკავშირეთა ავიაციამ მტრის ჯარებისა და მანქანების დაბომბვით ეფექტური დახმარება გაუწია სახმელეთო ჯარებს.

ლონდონი, 7 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც ამერიკელთა ჯარებს ახლავს ჩრდილოეთ აფრიკაში, იუწყება, რომ გუშინ კონტრიერიშის შედეგად გერმანელებმა მოახერხეს კვლავ დაეპყროთ მაღლობები, რომლებიც მნიშვნელოვან გზაჯვარედინის ორივე მხარეზე მდებარეობენ მატერის დასავლეთით. როგორც იუწყებოდნენ, ეს მაღლობები გერმანელებს ინგლისელთა ქვეითი ჯარის ბრიგადამ წაართვა 5 იანვარს.

საომარი მოქმედება ტრიპოლიტანიაში

ლონდონი, 7 იანვარი (საკდესი). ტრიპოლიტანიაში ინგლისელთა მე-8 არმიასთან მყოფი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" კორესპონდენტი იუწყება, რომ ღერძის სახელმწიფოთა ჯარები სიმაგრეებს აგებენ კლდოვან ნაპირებიან მდინარის ამომშრალი ღრმა კალაპოტის გასწვრივ, რომელსაც ვადი-ზემზემი ეწოდება. ეს კალაპოტი გადის 80 მილზე მისურატის სამხრეთით. რომმელის ჯარების კომუნიკაციები მოკლეა, იმ დროს როცა ინგლისელთა ჯარების კომუნიკაციების ხაზი გაჭიმულია. გარდა ამისა, რომმელს აქვს აგრეთვე კარგი აეროდრომები. მიუხედავად ამ უპირატესობისა, კორესპონდენტის აზრით, ვადი-ზემზემთან მდებარე პოზიცია მხოლოდ დროებითია და შექმნილია იმ მიზნით, რომ ინგლისელები განსაზღვრული ვადით შეაჩეროს. ვადი-ზემზემის სიმაგრეები გაცილებით სუსტია ელ-აგეილის სიმაგრეებზე. ვადი-ზემზემთან მდებარე პოზიციების ნაკლოვანება ის არის, რომ მათ ბუნებრივი ზღუდეები არა აქვთ ფლანგზე.

ნ. მ. შენგელაია

1943 წლის 5 იანვარს მოულოდნელად შეწყდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, კინორეჟისორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნიკოლოზ მიხეილის-ძე შენგელაიას სიცოცხლე.

ნ. მ. შენგელაია საბჭოთა კინემატოგრაფიის გამოჩენილი და მკაფიო ინდივიდუალობის რეჟისორი იყო. იგი ქართული საბჭოთა ნაციონალური კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელთა.

მისი სამი ფილმი „ელისო", „26 კომისარი" და „ნარინჯის ველი" ორგანულად დაკავშირებულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ნაციონალური კინემატოგრაფიის სწრაფ ზრდასთან, საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურის ბრწყინვალე აყვავებასთან.

ნ. მ. შენგელაია დაიბადა 1903 წელს.

კინემატოგრაფიაში იგი ლიტერატურიდან მოვიდა და თავისი მუშაობა ხელოვნების ამ დარგში უდიდესი თეატრალური ოსტატის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო.

არსებითად ქართულმა საბჭოთა კინემატოგრაფიამ ზრდა და განმტკიცება იწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოჩნდნენ ისეთი ოსტატები, როგორიც იყო ნ. მ. შენგელაია, რომლის სახელთანაც მჭიდროდ დაკავშირებულია ქართული ნაციონალური კინემატოგრაფიის აღმავლობა და შემდგომი განვითარება.

ფილმი „ელისო", რომელიც 1927-28 წწ შეიქმნა, პრინციპულად განსხვავდებოდა ქართული ნაციონალური კინოს წინანდელი პროდუქციისაგან, რომელიც იმ დროს კიდევ ეგზოტიკისა და ბურჟუაზიული ხელოვნების ტრადიციის ტყვეობაში იმყოფებოდა.

ფილმ „ელისოს" გამოჩენამ საფუძველი ჩაუყარა რეალიზმს ქართულ კინემატოგრაფიაში და გარდატეხის მომენტი გახდა ქართული კინემატოგრაფიის შემდგომ განვითარებაში.

„ელისოს" შემდეგ რეჟისორი შენგელაია ჰქმნის დიდ, ისტორიულ ტილოს—ფილმ „26 კომისარს", რომელშიც ფართოდ ნაჩვენებია საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის ამბები. როგორც ჭეშმარიტმა მხატვარმა, ნ. შენგელაიამ ამ ფილმში გადაშალა მკაფიო სურათი სამოქალაქო ომისა და რევოლუციური ბრძოლისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობისა.

ისტორიულ ფილმ „26 კომისრის" შემდეგ ნიკოლოზ შენგელაია, როგორც ჭეშმარიტი საბჭოთა მხატვარი, ადგება თანამედროვე მასალის შესწავლისა და მხატვრული ასახვის [illegible]. და მისი მორიგი შემოქმედებითი ამოცანა [illegible] კოლმეურნეობის მშენებლობის [illegible]. იგი ჰქმნის ფილმ „ნარინჯის ველს"—სოციალისტური მშენებლობის, საბჭოთა [illegible] მეურნეობის ცხოვრებიდან.

ფილმების „ელისოს", „26 კომისრის", „ნარინჯის ველის" დადგმისათვის საბჭოთა მთავრობამ ნიკოლოზ შენგელაია დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით და მიანიჭა მას სტალინური პრემია.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ნიკოლოზ შენგელაიამ მხურვალედ მოჰკიდა ხელი თავის ფილმებში საბჭოთა ხალხის დიადი პატრიოტიზმის და გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისადმი სიძულვილის ასახვას. და იგი ჰქმნის ფილმს „შავ მთებში"—იუგოსლავიაში გაჩაღებულ პარტიზანულ ბრძოლაზე. ამ ფილმის შემდეგ ნ. შენგელაია დაუყოვნებლივ იწყებს მხატვრული თავდაცვითი ფილმის „იგი კვლავ დაბრუნდება" შექმნას. მან ამოცანად დაისახა ეჩვენებინა მიზანსწრაფი საბჭოთა პატრიოტი, რომელიც გმირულ ბრძოლას ეწევა როგორც ფრონტზე, ისე ზურგში—მტერზე გამარჯვების მოპოვებისათვის.

მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც მას გაჩაღებული ჰქონდა შემოქმედებითი მუშაობა ფილმის „იგი კვლავ დაბრუნდება" დასამთავრებლად, მოულოდნელმა სიკვდილმა შეგვწყვიტა საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთი უდიდესი მხატვრის ნიკოლოზ შენგელაიას მგზნებარე, დაუღალავი, შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე სიცოცხლე. გაჩერდა მისი გული, რომელიც ასე მგზნებარედ სძგეროდა საბჭოთა კინემატოგრაფიის შემოქმედებითი გამარჯვებებისათვის.

ნიკოლოზ შენგელაია იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის საბჭოს დეპუტატი, კინოფოტომუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი. იგი მგზნებარე საზოგადოებრივი მოღვაწე იყო და ჩვენი დიადი სამშობლოს საბჭოთა ხალხის ინტერესებით ცოცხლობდა.

მისი ამხანაგები ღრმად განიცდიან უდიდეს მწუხარებას, რაც გამოიწვია ნიჭიერი ოსტატის, მოწინავე რეჟისორის, მეგობრისა და ამხანაგის ნ. მ. შენგელაიას მოულოდნელმა გარდაცვალებამ.

ვ. ეგნატაშვილი, ვ. პეტროვი, ვ. ანჯაფარიძე, ა. ბეკ-ნაზაროვი, ლ. ქიაჩელი, ი. მოსაშვილი, ს. დოლიძე, დ. რონდელი, ლ. ესაკია, კ. მიქაბერიძე, კ. პიპინაშვილი, ი. პერესტიანი, გ. მაკაროვი, ი. ანენსკი, ი. მანევიჩი, ე. ხაჩიძე, ა. დიღმელოვი, ა. გოლოვნია, ა. პოლიკევიჩი, კ. ლორთქიფანიძე, კ. კუზნეცოვი, ა. ჟორჟოლიანი, ა. ბალანჩივაძე, დ. კანდელაკი, გ. მდივანი, ა. ბელიაშვილი, შ. მანაგაძე, დ. ანთაძე.

მომგებიანი ანაბრების მიღება შემნახველ სალაროებში

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 10 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებში შემოღებულია მოსახლეობისაგან მომგებიანი ანაბრების მიღების ოპერაცია.

მომგებიან ანაბრებს ღებულობს სსრ კავშირის ყველა შემნახველი სალარო ცალკეულ მოქალაქეთა სახელზე. ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს გახსნას ერთ ან რამდენიმე შემნახველ სალაროში ანგარიშები მომგებიან ანაბრებზე განუსაზღვრელი რაოდენობით, ანაბარის თანხით 10.000 მანეთამდე თითოეულ ანგარიშზე.

მომგებიანი ანაბრების შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით. მოგებათა ტირაჟები შესდგება წელიწადში ორჯერ. თითოეულ ტირაჟში მომგებიან ანაბართა ანგარიშების 1.000 ნომერზე დაწესებულია 25 მოგება.

მოგებათა ტირაჟებში მონაწილეობის უფლება ენიჭება მომგებიან ანაბართა ანგარიშების მქონე მეანაბრეებს. ის მეანაბრენი, რომლებიც მომგებიან ანაბართა ანგარიშებს ტირაჟის ჩატარების დღემდე დახურავენ, შემოსავალს ამ ანაბრებზე არ მიიღებენ.

საქართველოს სახ. შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველომ ამ საკითხზე სსრ კავშირის ფინსახკომის მიერ ინსტრუქციის მიღებისთანავე გაშალა მუშაობა შემნახველ სალაროებში მომგებიანი ანაბრების მიღების ოპერაციების ჩასატარებლად.

1942 წლის 1 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1 იანვრამდე საქართველოს სახ. შრომის შემნახველ სალაროებში მომგებიანი ანაბარი შეტანილი ჰქონდა 472 მეანაბრეს 162.000 მანეთის რაოდენობით. თბილისის ბერიას სახელობის რაიონის შემნახველ სალაროში შეტანილია 61.000 მანეთი მომგებიანი ანაბარი, მოლოტოვის რაიონისაში კი—34.000 მანეთი; აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შემნახველ სალაროებში შეტანილია 13.000 მანეთი, აჭარის ასს რესპუბლიკაში—29.000 მანეთი; ხობის რაიონის შემნახველ სალაროში—2.000 მანეთი.

მომგებიან ანაბრებზე მოგებათა პირველი ტირაჟი ჩატარდება ქ. თბილისში 1-დან 10 აპრილამდე.

საჭიროა საქ. სს რესპუბლიკის რაიონების საფინანსო ორგანოებმა და შემნახველმა სალაროებმა ფართოდ გააცნონ მოსახლეობას მომგებიანი ანაბრების შეტანის წესები, პირობები და მისი დიდი სარგებლიანობა.

ახალი წიგნები

„გიორგი სააკაძე". „ფედერაციამ" გამოსცა ს. შანშიაშვილის დრამატიული პოემა „გიორგი სააკაძე". წიგნის რედაქტორია რ. გვეტაძე. შეიცავს 100 გვერდს და ღირს 13 მანეთი.

„სატირა". გამოვიდა დ. გაჩეჩილაძის და მ. პატარიძის სატირული ლექსების კრებული. წიგნი შეიცავს 58 გვერდს, გამოცემულია „ფედერაციის" მიერ თ. შავიშვილის რედაქტორობით და ღირს 4 მან. 90 კაპ.

ქუთაისის თეატრში

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა დავით კლდიაშვილის კომედიები—„დარისპანის გასაჭირი" (1 სურათად) და „ირინეს ბედნიერება" (2 მოქმედებად).

სპექტაკლი, რომელიც დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ს. ოყრეშიძემ და მხატვრულად გააფორმა მხატვარმა ვ. ცომაიამ, ხალხით გაჭედილმა დარბაზმა გულთბილად მიიღო.

სპექტაკლში მონაწილეობენ: ვ. ჩხიკვაძე, ა. მურუსიძე, მ. სვანიძე, დ. ალავიძე, ვ. კინწურაშვილი, თ. კიკნაძე, ნ. წინამძღვარი, მ. ფხაკაძე, შ. ქარცივაძე, თ. მუსერიძე, კ. აბესაძე, ვ. გვენცაძე და სხვ.

გ. სამხარაძე

„სამშობლო" ახალი შემადგენლობით

9 და 10 იანვარს, რუსთაველის თეატრში დაიდგმება დ. ერისთავის პატრიოტული პიესა „სამშობლო" ახალი შემადგენლობით. ს. ლიონიძის როლს შეასრულებს ა. ხორავა, ლ. ხიმშიაშვილის როლს—გ. სალარაძე, ქეთევანისას—ნ. ლაფაჩი, შაჰ-აბასისას—ს. ჯაფარიძე, ფაიხოშისას — თ. ბოლქვაძე და ისრაფილ ბეგის როლს—მ. ჩიხლაძე.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „შავზღვლელები". **ოქტომბერი**—„საბუხი". **დამკვრელი** — „კუზიანი კვიცი". **კომკავშირელი** — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს". **სპარტაკი** — „სომხური კინო-კონცერტი". **ლუქსემბურგის სახ.** — „მეოთხე პერისკოპი". **26 კომ. სახ.**—„ომის ერთი დღე". **კომინტერნი**—„ბაბუკი ჩვენი ქალაქიდან".

პასუხისმგებელი რედაქტორის
მოადგილე გ. ჯიბლაძე

ნატა ვაჩნაძე შვილებით, დედით, დით და ძმით ღრმა მწუხარებით იუწყება მისთვის დაუვიწყარ და ძვირფას

კოლია შენგელაიას

გარდაცვალებას.

თბილისის კინოსტუდიის თანამშრომელთა კოლექტივი მწუხარებით იუწყება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის, კინორეჟისორ

ნიკოლოზ მიხეილის-ძე შენგელაიას

გარდაცვალებას.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივი იუწყება სტალინური პრემიის ლაურეატის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის

ნიკოლოზ შენგელაიას

გარდაცვალებას.

საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირის კოლექტივი იუწყება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კინორეჟისორ

ნიკოლოზ მიხეილის-ძე შენგელაიას

გარდაცვალებას.

ნინო და აკაკი ხორავა იუწყებიან გულითადი მეგობრის

ნიკოლოზ მიხეილის-ძე შენგელაიას

გარდაცვალებას. 54

ა.-კ. რკინიგზის სატვირთო სადგურის თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომელ

გიორგი ალექსანდრეს-ძე ჯოხაძის

გარდაცვალებას. 26

თბილისის მილიციის ცალკე რაზმის მეთაურთა შემადგენლობა იუწყება ამავე რაზმის მეთაურის სპირიდონ ჩიქოვანის დეიდაშვილის

ივანე ალექსანდრეს-ძე ჩაველაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 8/I, 5 ს. რკინიგზის საავადმყოფოს პროსპექტიდან. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 47

ამხანაგები: გ. ცქიტიშვილი, გ. იმნაიშვილი, ნ. ქვანია, დ. მჭედლიშვილი, ა. ბექაური, გ. ლებანიძე, ქ. მეფარიშვილი, თ. ფალავანდიშვილი, გ. ცავა, ნ. ლაბარტყავა, ტ. აბრამოვიჩი, პ. ასლანიდი, რ. არონიშიძე, ს. პაპიანი იუწყებიან საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვილია ივანეს-ძე ლელინის მამის

ივანე სტეფანეს-ძე ლელინის

გარდაცვალებას.

ექიმი მერი შენგელაია და შალვა შენგელაია იუწყებიან ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძაშვილის

ნიკოლოზ (კოლია) შენგელაიას

გარდაცვალებას. 48

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს მუშაკები იუწყებიან სტალინური პრემიის ლაურეატის

ნიკოლოზ მიხეილის-ძე შენგელაიას

გარდაცვალებას. 46

ჯანგანყოფილების სისხლის გადასხმის სადგურის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 9/I, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ექიმ

ნინო ალექსანდრეს-ასულ ქვრივიშვილის

სამოქალაქო პანაშვიდი. 45

საქართველოს ფერადი ლითონების ძიების ტრესტი იუწყება ინჟინერ ალექსანდრე სიჭინავას დედის

ანუკი იოსეს-ასულ სიჭინავა-სანიკიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სურამში 10/I. 51

№ ჰოსპიტლის თანამშრომლები, იუწყებიან, რომ 10/I, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ამავე ჰოსპიტლის უფროსის ვ. ი. იაშვილის ძმის

ალიოშა იაშვილის

სამოქალაქო პანაშვიდი. 49

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 0404